

პირველი შესვლა აპლიკაციაში

საეთაშორისო დაცვის განცხადების ელექტრონული ფორმის აპლიკაციაში შესასვლელად მიყევით ქვემოთ მითითებულ ნაბიჯებს.

ნაბიჯები 1 & 2 გამოჩნდება სისტემაში ყველა შესვლის დროს.

ყურადღება: თუ ხართ 18 წლამდე ასაკის და არ გახლავთ თან, საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად, თქვენზე მზრუნველობის პასუხისმგებელი ვინმე სრულწლოვანი პირი, არ უნდა შეავსოთ ელექტრონული განცხადების ფორმა. პროცედურის დასრულებისათვის უნდა მიმართოთ შესაბამის სამსახურს.

ნაბიჯი 1: იდენტიფიკაცია

თავშესაფრის განცხადების სარეგისტრაციო (წინა რეგისტრაციის) ნომერი	ჩაწერეთ თავშესაფრის განცხადების სარეგისტრაციო (წინა რეგისტრაციის) ნომერი, რომელიც მოგენიჭათ უფლებამოსილი სამსახურის მიერ და აღნიშნულია იმ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც გადმოგეცათ უფლებამოსილი სამსახურისაგან.
გვარი	ჩაწერეთ თქვენი გვარის პირველი ორი (2) ასო დიდი ლათინური ასოებით, ისე როგორც გქონდათ განცხადებული საწყისი რეგისტრაციის პროცედურის დროს უფლებამოსილ სამსახურში და ისე, როგორც აღნიშნულია ოფიციალურ დოკუმენტებში რომლებიც გადმოგეცათ უფლებამოსილი სამსახურისაგან.
სახელი	ჩაწერეთ თქვენი სახელის პირველი ორი (2) ასო ლათინური დიდი ასოებით, ისე როგორც გქონდათ განცხადებული საწყისი რეგისტრაციის პროცედურის დროს უფლებამოსილ სამსახურში და ისე, როგორც აღნიშნულია ოფიციალურ დოკუმენტებში რომლებიც გადმოგეცათ უფლებამოსილი სამსახურისაგან.
დაბადების თარიღი	ჩაწერეთ თქვენი დაბადების თარიღი, ისე როგორც განაცხადეთ საწყისი რეგისტრაციის პროცედურის დროს. შეიტანეთ შემდეგი ფორმით დ/თ/წწწწ, მაგალითად 1 თებერვალი 2000 წელი, უნდა ჩაიწეროს 01/02/2000 ან 1/2/2000.
მობილური ტელეფონის ნომერი	ჩაწერეთ ბერძნული ტელეფონის ის ნომერი, რომელზეც გასურთ გამოიგზავნოს სისტემაში შესასვლელი ერთჯერადი კოდი. პროცედურის გასაგრძელებლად უნდა შეიყვანოთ ეს კოდი ნაბიჯი 2-ის დროს.
არა ვარ მანქანა	ჩაწერეთ სიმბოლოები რომლებსაც ხედავთ სურათზე. შეიცავს პატარა ლათინურ ასოებს და ციფრებს. თუ ტექსტი არ იკითხება, შეგიძლიათ შეცვალოთ „განაახლე captcha“ ღილაკზე დაჭერით.

ნაბიჯი 2: კოდის შეყვანა

იდენტიფიკაციის ეკრანზე დააჭირეთ „შესვლა“-ს , თუ იდენტიფიკაცია წარმატებით განხორციელდა მოგთხოვთ ექვსციფრიანი ერთჯერადი კოდის შეყვანას, რომელიც გამოგეგზავნებათ იმ მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც განაცხადეთ ნაბიჯი 1.

ნაბიჯი 3: ენა

ერთჯერადი კოდის წარმატებული შეყვანის შემდეგ, უნდა აირჩიოთ სასურველი ენა, რომელზეც გსურთ შეავსოთ ფორმა.

ყურადღება: ეს არჩევანი არის საბოლოო. თუ მოისურვებთ რომ შეცვალოთ რეგისტრაციის ენა, ფორმის ყველა შევსებული ველი წაიშლება და უნდა შეავსოთ თავიდან .